საქართველო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9726061001

თარიღი:02/03/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-04

დ. ლენტეხი. 27 თებერვალი 2026წ.

მიმდინარე წლის 27 თებერვალს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15(თხუთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 8(რვა) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების 2025 წლის ანგარიშის მოსმენა.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცება.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3.ინფორმაციის მოსმენა 2025 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების 2025 წლის ანგარიში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:**

2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი შესყიდვების გეგმა შეადგენდა 7957661 ლარს. განხორციელებულმა შესყიდვების ფაქტმა შეადგინა 7664531,03 ლარი.

მათ შორის: ელექტრონული ტენდერების საშუალებით შესასყიდი სამუშაოების გეგმა შეადგენდა 6542769 ლარს, ფაქტობრივად მესრულებულმა შესყიდვებმა შეადგინა 5983909.82 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის გზით შესასყიდი საქონლის გეგმა შეადგენდა 845610.45 ლარს. ფაქტმა შეადგინა 809482.34ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების გეგმა 604000ლარი, ხოლო ფაქტი 593851,67 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერების გეგმა შეადგენდა 752094 ლარს, ფაქტმა შეადგინა 723791. 82 ლარი.

დანართის სახით წარმოდგენილია თითოეულ CPV კოდზე გეგმისა და ფაქტის შედარება და აგრეთვე ყველა ღონისძიებაზე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმეკრულებო თანხის მითითებით.

შეკითხვა დასვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ჭურასბედიანმა - გამარტივებული შესყიდვა ხორციელდება 10 000 ლარის ფარგლებში და როცა სამშენებლოა 20000 ლარის ფარგლებში მაინტერესებს 104000 - ზე რატომ გაფორმდა გამარტივებული შესყიდვა.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 104000 ლარი იყო გათვალისწინებული სკოლების შენობების რეაბილიტაციაზე და ამ თანხაზე იყო მთავრობის განკარგულება, რაც გვაძლევდა გამარტივებული შესყიდვის უფლებას.

სხვა შეკითხვა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ შესყიდვების ანგარიშის დადებითად შეფასების საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების 2025 წლის ანგარიში.

2. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის შესყიდვების გეგმა. მან დეტალურად განმარტა ყოველი შესყიდვა.

საკითხის განხილვის დროს თავისი აზრი დააფიქსირა საკრებულოს წევრმა ზურაბ ონიანმა: 2025 წლის ივნისის თვეში იყო სტიქია, რამაც გამოიწვია მდინარე სკიმრაშურას ადიდება. აუცილებელი იყო კალაპოტის გაპრენდა და განწორხაზოვნება. სამწუხაროდ ეს სამუშაო არ ხატარდა, შესაბამისად მდინარის ადიდების შემთხვევაში საფრთხე ექმნება ნახევარი მილიონის ღირებულების სპორტის შენობას, რომელიც შენდება მდინარის კალაპოტიდან ახლოს.

პასუხად მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ იყო ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა, შევჯერდით გუბერნატორთან 96000ლარზე, გაკეთდა მომართვა სამინისტროში და ველოდებით დაფინანსებას.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ხალხის ძალას თავმჯდომარის მოადგილემ დალი ტვილდიანმა - 4 წელია სტიქიის შედეგად ჩაინგრა სოფ. გვიმბრალის საბავშვო ბაღი. ამავე დროს ეს იყო ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილი . იყო დაპირება, რომ ბაღის შენობას გვაჩუქებდნენ, მაგრამ ვერ მივაღწიეთ ვერაფერს.

აზრი გამოთქვა: რეხმელურის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა მურმან ტვილდიანმა - ამ საკითხზე იყო შეხვედრები მოსახლეობასთან და გადაწყდა, რომ შენობა დაინგრევა, განწორდება და სასურავი მოხმარდება ეკლესიას.

დალი ტვილდიანი: ეს იყო სტიიქიით დანგრეული და უნდა აღდგენილიყო სტიქიის თანხით.

საკითხთან დაკავშირებით იყო სხვა შეკითხვებიც.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ 2026 წლის შესყიდვების გეგმა დასამტკიცებლად დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების 2026 წლის გეგმა.

3. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია - 2025 წლის ბიუჯეტში სარეზერვო თანხის ხარჯვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთლიანი თანხა 50000ლარი დაიხარჯა სოციალურ საკითხებზე.

აზრი გამოთქვა: ხუტა მუკბანიანმა - დეკემბრის თვეში უხვი ნალექის მოსვლის შედეგად სოფ. ჭველიერში ჩაიხვრა დამხმარე ნაგებობა. მეპატრონეს უსინათლო ბიჭი და ძალიან სამძიმაროა, რომ ვერ ვეხმარებით ფინანსურად. კარგი იქნება, სარეზერვო მუხლიდან თუ დავაფინანსებთ მხოლოდ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს და ეს თანხა არ დაიხარჯება სოციალურ პროგრამებზე.

აზრი გამოთქვა: სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა - არ უნდა მოხდეს დამხმარე ნაგებობებზე დახმარების გაცემა, რადგანაც ეს მიიღებს მასიურ ხასიათს.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ნამდვილად ეთანხმება ასეთ მიდგომას, მაგრამ როცა ძალიან მაღალია ბენეფიციარების მომართვიანობა და სოციალურ მუხლში გათვალისწინებული თანხები ვერ გვყოფნის, იძულებული ვართ გამოვიყენოთ სარეზერვო თანხა.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს საფინანსო სამსახურის უფროსის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სარეზერვო ფონდის ხარჯვის თაობაზე.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დასრულდა 14 საათზე.

გამოყენებულია კვალიფიცური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე